ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N8

ქ.თბილისი

30 იანვარი, 2026 წელი
15[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბექა დავითულიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ლევან ჯაფარაძე

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე
ლევან არველაძე
ირაკლი ბენდელიანი
კახა ბერაძე
ნოდარ ბოკერია
ბექა გელენავა
გიორგი გვენეტაძე
მარიამ გრიგოლიშვილი
გიორგი დოხტურიშვილი
ნინო ვარდოსანიძე
კონსტანტინე ზარნაძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
ვაჟა კოკაია
ლალი კოლომიკოვი
ჯაბა კოღუა
კახაბერ ლაბუჩიძე
შალვა მაისურაძე
ბექა მენთეშაშვილი
ბექა მიქაუტაძე
ალექსანდრე მუკათარიძე
გურამ ნიკოლაშვილი
არჩილ ნიჟარაძე
ბექა ოდიშარია
შალვა ოგბაიძე
ვალერიან პაპუაშვილი
შალვა პერანიძე
მიხეილ რეხვიაშვილი
შალვა სუთიაშვილი
დავით ფანჯაკიძე
გიორგი ქარდავა
შოთა ქევხიშვილი
ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი
ზურაბ ჩიკვილაძე
ცოტნე ჩიქვინიძე
ოთარ ჩრდილელი
გივი ჩხარტიშვილი
ავთანდილ ცინცაძე
ზაქარია წიკლაური
ქეთევან ჭავჭანიძე
დავით ჭელიძე
ნიკოლოზ ჭუჭულაშვილი
მამუკა ხაბარელი
დავით ხაბეიშვილი
გიორგი ხუროძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ნინო ლომინაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი ნინო ბაგაშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძე.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ და აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის, თბილისის 2026 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა, რის შემდეგაც მისი მოცულობა გადააჭარბებს 2500000000 ლარს. აქვე განაცხადა, რომ დარწმუნებულია, წლის განმავლობაში კიდევ იქნება ბიუჯეტის ზრდის ტენდენცია, რაც მუნიციპალიტეტს მისცემს საშუალებას, განახორციელოს მნიშვნელოვანი პროექტები და პროგრამები.

ლევან არველაძემ ისაუბრა თბილისის 2026 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტზე და აღნიშნა, რომ ბიუჯეტი გაზრდილია თითქმის 300000000 ლარით და განისაზღვრება 2500000000 ლარზე მეტით, რაც თბილისის ისტორიაში არასდროს ყოფილა და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ტემპით ხდება ბიუჯეტის ზრდა. განაცხადა, რომ თანხა გადანაწილებულია პრიორიტეტების მიხედვით, მათ შორის, მნიშვნელოვანია რაიონული გამგეობებისთვის დაფინანსების გაზრდა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მიმართულებით თანხის დამატება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალი პროგრამა, რომელიც ეხება ისტორიულ უბნებში, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში, ფართების გამოსყიდვას, რისთვისაც გამოყოფილია 10000000 ლარი. ასევე, მნიშვნელოვანი ზრდაა ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის კუთხით, კერძოდ, დაფინანსება გაზრდილია 17000000 ლარით. ჯამში, 2026 წელს, დახარჯული იქნება დამატებით 300000000 ლარამდე, რაც ნიშნავს ქალაქის უკეთ განვითარებას და გალამაზებას, რაც, თავის მხრივ, ემსახურება ჩვენი თანამოქალაქეების კეთილდღეობას და უკეთეს მომავალს.

გივი ჩხარტიშვილმა განაცხადა, რომ ბიუჯეტის ზრდა ნიშნავს მეტი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის, სოციალური თუ სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებით, მეტი რეკრეაციული სივრცის გაჩენას დედაქალაქში, ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის და ისტორიული არეალებიდან ფართების გამოსყიდვის ახალი პროგრამის განხორციელებას, რაც გათვლილია ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობაზე. გივი ჩხარტიშვილმა ასევე, ისაუბრა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივაზე, რომელიც ეხება პროდუქტებზე, მედიკამენტებზე და საწვავზე ფასების შემცირებას და განაცხადა, რომ ამ ინიციატივას მოსახლეობაში აქვს დადებითი განწყობა, რაც იგრძნობა მათთან შეხვედრებისას. საუბრის ბოლოს, მადლობა გადაუხადა ირაკლი კობახიძეს სხვადასხვა უწყებებთან კოორდინირებული მუშაობისთვის და სახელისუფლებო გუნდს წარმატებები უსურვა ყველა მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაში.

ზურაბ აბაშიძემ აღნიშნა, რომ ნამდვილად მნიშვნელოვანია პრემიერ-მინისტრის ინიციატივა, რომლის კონკრეტულ შედეგებსაც ელოდება მოსახლეობა და დარწმუნებულია, რომ ეს ინიციატივა დადებითად განხორციელდება.

გიორგი გვენეტაძემ აღნიშნა, რომ ახალი საფინანსო წლის დაწყებიდან ერთი თვეც არ გასულა და თითქმის 300000000 ლარით გაიზარდა თბილისის ბიუჯეტი, მათ შორის, ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტების და სხვა მხრიდან შემოსული თანხების საფუძველზე, რაც, მისი თქმით, აგრძელებს პრაქტიკას „ღარიბს ვართმევთ, მდიდარს ვაძლევთ“, რადგან უფრო ღარიბი რეგიონების ხარჯზე, სადაც გადასახადები გროვდება, თბილისი იღებს გრანტებს და ასუფსიდირებს მდიდარი მოსახლეობის სხვადასხვა ხარჯებს. განაცხადა, რომ დროა, ჩვენს ქვეყანაში ეს პრაქტიკა დასრულდეს და კარგი იქნება, თუ ამას დაიწყებს თბილისი. აქვე აღნიშნა, რომ ბიუჯეტი ივსება ასევე, ჯარიმების ხარჯზეც და ამ ფონზე, თბილისის მუნიციპალიტეტს გადაწყვეტილი აქვს ტაქსის მძღოლებს, რომლებიც მუშაობენ ლიცენზიის გარეშე, აპატიოს გადაუხდელი ჯარიმები, რაც ნიშნავს იმას, რომ ვასტიმულირებთ არაკეთილსინდისიერ საქციელს. აქედან გამომდინარე, გამოთქვა მოსაზრება, რომ თუ ჯარიმის გადაუხდელობას ვპატიობთ იმ ადამიანებს, რომლებიც იქცევიან არაკეთილსინდისიერად, მაშინ იმ ადამიანებს, რომლებსაც კეთილსინდისიერად აქვთ გადახდილი ჯარიმა, უნდა დავუბრუნოთ თანხა. ზოგადად, კი, მისი აზრით, კარგი იქნება, თუ ტაქსით მომსახურების სფეროში ჩართვისთვის არსებულ რეგულაციებს გავაუქმებთ და იმ ადამიანებს, რომლებიც თავს თვითონ ირჩენენ, ნუ წავართმევთ ფულს ნურც ლიცენზიაში და ნურც ჯარიმებში.

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა განაცხადა, რომ ქვეყანაში არსებული მაღალი ფასები არის რეალურად ხელშესახები პრობლემა, რასაც თითოეული მოქალაქე გრძნობს საკუთარ თავზე და სავარაუდოდ, სახელისუფლებო გუნდსაც სწორედ ამან მისცა ინსპირაცია, რომ დაეწყო ამ მიმართულებით მუშაობა, რაც დღეს გამოიხატება მხოლოდ კომისიის შექმნაში და მეწარმეებზე ადმინისტრაციული წნეხის განხორციელებში, რაც არ არის საკმარისი და გაცილებით მეტია საჭირო, მათ შორის, სისტემური რეფორმები. ისაუბრა მუნიციპალური სერვისების ფასების ზრდაზე, მათ შორის, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გაორმაგებასა და პარკირების ჯარიმების გაზრდაზე და განაცხადა, რომ საინტერესოა, რას ფიქრობს სახელისუფლებო გუნდი იმასთან დაკავშირებით, თუ ვისი პასუხისმგებლობაა მუნიციპალური გადასახადების ზრდა და ამ საკითხსაც შეისწავლის თუ არა ირაკლი კობახიძის მეთაურობით შექმნილი კომისია. აქვე, ისაუბრა ქალაქში პარკირების კუთხით არსებულ ვითარებაზე, აღნიშნა, რომ ძალიან ბევრ უბანში ფაქტობრივად შეუძლებელია მანქანის დაპარკინგება, გაიხსენა 2017 წელს კახა კალაძის მიერ გაცემული დაპირება, რომ თბილისში მოეწყობოდა, როგორც მიწისზედა, ასევე, მიწისქვეშა პარკინგები, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებობდა ამის რესურსი და აქედან გამომდინარე, განაცხადა, რომ ხელისუფლების არგუმენტი, თითქოს თბილისში პარკინგის მოწყობისთვის არ არის სივრცეები, სუსტია. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ, როდესაც ადამიანი საკუთარ კანდიდატურას აყენებს თბილისის მერის თანამდებობაზე, ის ერთგვარ სოციალურ კონტრაქტს დებს თბილისის მაცხოვრებლებთან და როდესაც თბილისელებს ეზრდებათ პარკირების ჯარიმები, უნდა მიიღონ ამის ადეკვატური და პროპორციული მომსახურება.

ნოდარ ბოკერიამ ისაუბრა სახელისუფლებო გუნდის მიერ, რამდენიმე დღის წინ დაინიცირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომელიც, მისი თქმით, „ითვალისწინებს ქვეყნის სუვერენიტეტისა და სიძლიერის განმტკიცებას“, თუმცა, რადიკალურმა ოპოზიციამ, უცხოეთიდან მიღებული დირექტივებით, გადაწყვიტა, რომ დაეზიანებინა ქვეყნის ეროვნული ინტერესები და აღნიშნულთან დაკავშირებით დაიწყო ტყუილზე აგებული კამპანია, რომ თითქოს „ქართული ოცნება“ აძლიერებს რეპრესიულ რეჟიმს. მაგრამ, ყველასთვის ნათელია ის მოცემულობა, რომ თავად ცდილობდნენ ძალადობრივი რევოლუციის გზით დაემხოთ პროეროვნული მთავრობა, რომელიც ხალხის მიერ არის არჩეული და ამის სანაცვლოდ ქვეყანაში დაესვათ ისეთი აგენტურა, რომელიც „მეორე ფრონტს თვალის დაუხამხამებლად გახსნიდა“, რაც იქნებოდა ძალიან დიდი ტრაგედია. ნოდარ ბოკერიამ, ასევე, ისაუბრა ფასებთან დაკავშირებით ხელისუფლების პოლიტიკაზე და განაცხადა, რომ პრემიერ-მინისტრმა კონსტრუქციული შეხვედრები გამართა, როგორც სადისტრიბუციო ქსელებთან, ასევე, მწარმოებლებთან, სადაც ითქვა, რომ ერთად უნდა იპოვონ პრობლემა, რომელიც გადაიჭრება ისე, რომ დაბალანსდეს სოციალური ასპექტი და ამასთანავე, დაცული იყოს ბიზნესინტერესებიც. თუმცა, რადიკალურმა ოპოზიციამ აქაც დაიწყო „სრულიად უსაფუძვლო და ულოგიკო კრიტიკა“, რაც გამოიხატება იმაში, რომ მაგალითად „ლელო“ აკრიტიკებს აღნიშნულს, მაგრამ, არ გვთავაზობს ალტერნატივას, ხოლო, „გირჩის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ბატონმა იაგო ხვიჩიამ განაცხადა, რომ „ეს საკითხი შეიძლება მოგვარდეს ძალიან მარტივად - უბრალოდ დღგ-ს დაწევით“ და ამას ამბობს მაშინ, როდესაც საქართველო გადასახადების მიმართულებით არის ერთ-ერთი ყველაზე ლოიალური ქვეყანა, რისი მაგალითიც არის ის, რომ თუ ჩვენთან დღგ შეადგენს 18%-ს, სხვადასხვა უცხოურ ქვეყანაში და ევროკავშირის ქვეყნებში საშუალო დღგ წარმოადგენს 23-24%-ს. აქვე განაცხადა, რომ დეფინიციურად უნდა გვესმოდეს, რა არის დღგ-ს შინაარსი - დღგ-დან მიღებული ფული, საბოლოოდ, ისევ ხმარდება საჯარო პროექტებს, ინფრასტრუქტურას, ჯანდაცვას და სხვა მიმართულებებს და შესაბამისად, დღგ-ს დაწევით, ჩვენ საბოლოოდ ისევ ხალხს წავართმევთ ამ ყველაფერს. ხოლო, თუ რაღაც ალტერნატიულ სამყაროში დღგ-ს დაწევით ასეთი პრობლემა მოგვარდა, ეს მაინც ახლო პერსპექტივაში იქნება და საბოლოოდ ფასები ისევ ხელოვნურად გაიბერება. საუბრის ბოლოს, მადლობა გადაუხადა პრემიერ-მინისტრს ამ ინიციატივისთვის, განაცხადა, რომ უკვე დაიწყო სამუშაოები და ფიქრობს, რომ აუცილებლად გამოვა ეს პროექტი, რომელიც სოციალურად ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი საზოგადოებისთვის.

დავით ფანჯაკიძემ ისაუბრა ფასებთან დაკავშირებით მთავრობის პოლიტიკაზე და მიმართა იმ ახალგაზდებს, რომლებიც აქტიურად მიესალმებიან ამ თემას: „შვეიცარიაში სამომხმარებლო კალათის ღირებულება არის სამჯერ მეტი, ვიდრე სომალიში და ოთხჯერ მეტი, ვიდრე ნიგერიაში. მაგრამ შვეიცარიელები ოთხჯერ ნაკლებად განიცდიან ამ ამბავს და საერთოდ არ ჭმუნავენ ფასებზე იმიტომ, რომ მდიდრები არიან და სომალიშიც და ნიგერიაშიც გაცილებით მეტად განიცდიან ოთხჯერ დაბალ ფასებს. ამიტომ, განვითარების ორი გზა გვაქვს: ან უნდა გავმდიდრდეთ და შვეიცარიის გზას დავადგეთ, ან ისევ ვიჭმუნოთ ფასებზე. ამიტომ, ჯობია, მთავრობის სხდომაზე განიხილონ არა ფასების დაწევის, არამედ ხალხის გამდიდრების საკითხი."

გიორგი გვენეტაძე გამოეხმაურა ნოდარ ბოკერიას გამოსვლას, რომელმაც, მისი თქმით, დაიწუნა „გირჩის" ინიციატივა დღგ-ს შემცირების თაობაზე და განაცხადა: „ფასების რეგულაციაში ჩემპიონი იყო საბჭოთა კავშირი. სად არის დღეს საბჭოთა კავშირი, ყველამ ვიცით. და მეორე, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში საერთოდ არ არსებობს დღგ".

ბექა მიქაუტაძემ აღნიშნა, რომ დღეს თბილისის ბიუჯეტი გახდება 2500000000 ლარი, რაც არის ისტორიული მაქსიმუმი და განაცხადა, რომ ახსოვს ის პერიოდი, როდესაც მიმდინარეობდა ქალაქის და ქვეყნის ბიუჯეტის სეკვესტრი, როდესაც თითქმის ყოველთვიურად აკლდებოდა ბიუჯეტს თანხა, რადგან სხვა საშუალება არ იყო. გამოეხმაურა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გამოსვლას და განაცხადა, რომ როდესაც კახა კალაძის პასუხისმგებლობაზე საუბრობს, უნდა გაითვალისწინოს, რომ სწორედ მისი და მისი გუნდის პასუხისმგებლობით გვაქვს ეს შედეგები, რომლებიც დღეს გვაქვს და მომავალში კიდევ ბევრს მივაღწევთ. ბექა მიქაუტაძემ ისაუბრა წინასაარჩევნო დაპირებებზე და განაცხადა, რომ დღეს ბიუჯეტში წარმოდგენილი ცვლილებების დამტკიცების შემდეგ, შესრულდება სოციალური მიმართულებით გაცემული დაპირება და ამოქმედდება ფილტვის კიბოს სკრინინგი, რაც ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამაა. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ დარწმუნებულია, თბილისის ბიუჯეტი არ არის საბოლოო ნიშნულზე მისული და კიდევ გაგრძელდება ზრდის ტენდენცია.

გიორგი ქარდავამ განაცხადა, რომ ბოლო პერიოდში, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები აქტიურად საუბრობენ სასურსათო პროდუქტებსა და მედიკამენტებზე არსებულ არანორმალურად მაღალ ფასებზე, რაც მისასალმებელია, რადგან აქამდე ამ პრობლემის ელემენტარული აღიარებაც არ ხდებოდა. ასევე, ცნობილი გახდა, რომ შეიქმნა სპეციალური სამთავრობო კომისია, რომელსაც დაევალა აღნიშნული პრობლემების შესწავლა. ერთი მხრივ, დადებითია ის ფაქტი, რომ ხელისუფლება ნელ-ნელა იწყებს საუბარს კერძო მონოპოლიების არსებობაზე, თუმცა, მეორე მხრივ, საზოგადოებაში არსებობს სერიოზული ეჭვი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად იქნება ეს პროცესი ბოლომდე მიყვანილი, რადგან, თავის დროზე, აღნიშნულ პრობლემებზე საუბრობდა ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და ის საუბარი, საუბრადვე დარჩა. აქედან გამომდინარე, გამოთქვა მოსაზრება, რომ საკრებულოში შეიქმნას სპეციალური კომპეტენტური ჯგუფი, რომელიც შუამდგომლობით მიმართავს მთავრობას, რომ საკრებულოს წევრებიც ჩაერთონ სამთავრობო კომისიის მუშაობაში, რაც ხელს შეუწყობს ამ პროცესის გამჭირვალობას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გაზრდის მოსახლეობის მხრიდან სანდოობას, რაც საბოლოო ჯამში, არ შეიძლება დადებითად არ აისახოს შედეგზეც.

შალვა ოგბაიძე გამოეხმაურა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის განცხადებას, რომელიც ეხებოდა კახა კალაძის დაპირებას მიწისზედა და მიწისქვეშა პარკინგების მოწყობაზე და განაცხადა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით ჩატარდა კვლევა, რომლის ფარგლებშიც სპეციალურმა ჯგუფმა შეისწავლა ის ადგილები, სადაც შეიძლებოდა პარკინგების მოწყობა, რის შემდეგაც თბილისის მერიამ გამოაცხადა ტენდერი, თუმცა, სამწუხაროდ, არცერთმა ბიზნესსექტორის წარმომადგენელმა არ მიიღო მასში მონაწილეობა.

გურამ ნიკოლაშვილმა ისაუბრა პრემიერ-მინისტრის ინიციატივაზე, რომელიც უკავშირდება პოლიტიკურ ჯგუფებს შორის დებატებისა და კომუნიკაციის აღდგენას, რაც სასიხარულოა,

რადგან ეს არის ერთადერთი ფორმა და ლეგიტიმური საშუალება იმისა, რომ პოლიტიკურ ჯგუფებს შორის გაგრძელდეს ნორმალური კომუნიკაცია და დისკუსია და გარკვეულწილად დასრულდეს ყველა დესტრუქციული ქუჩის პროცესი, რაც ახდენს პოლიტიკური პროცესის სიმულაციას და არ მოაქვს არანაირი შედეგი, პირიქით, ნებისმიერი მსგავსი აქტივობა ბადებს მორიგ ნაბიჯს იმისკენს, რომ დესტრუქციული სივრცე დაიხუროს. საუბრის ბოლოს, კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ აღნიშნული ინიციატივა მისასალმებელია და ფიქრობს, რომ კარგი იქნება, თუ უფრო და უფრო მეტი პოლიტიკური ჯგუფი გაიაზრებს ამ საკითხის საჭირბოროტო ხასიათს.

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა ბიუჯეტზე და განაცხადა, რომ მისასალმებელია ის დადებითი ტენდენცია, რაც შეინიშნება ბიუჯეტის ზრდის კუთხით, რადგან აღნიშნული იძლევა დამატებით არაერთი სასიკეთო საქმის გაკეთების შესაძლებლობას. ასევე, ისაუბრა ფასების რეგულირებასთან დაკავშირებით მთავრობის პოლიტიკაზე და განაცხადა, რომ კომისიის მუშაობა თუნდაც იმიტომ იქნება საჭირო და შედეგიანი, რომ გაირკვევა, რა სახის ფასნამატთან გვაქვს საქმე. რა თქმა უნდა, გასაგებია ისიც, რომ ბიზნესი თავისუფალია და მასში ხისტი ჩარევა არ მოხდება, მაგრამ, ფიქრობს, რომ შედეგების გარკვევის შემდეგ, თავად ბიზნესი იმოქმედებს სოციალური და მორალური პასუხისმგებლობით. საუბრის ბოლოს, გამოეხმაურა განცხადებას, რომ მთავრობამ უნდა განიხილოს არა ფასების დაწევის, არამედ ხალხის გამდიდრების საკითხი და განაცხადა, რომ ხელისფლებას შეუძლია იმუშაოს, როგორც ფასების რეგულირებაზე, ასევე, მოსახლეობის გამდიდრებასა და კეთილდღეობაზე, რადგან ეს ერთმანეთს ხელს არ უშლის და ფიქრობს, რომ როგორი მდიდარიც არ უნდა იყოს ქვეყნის მოსახლეობა, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა არის და უნდა იყოს მსგავსი პროცესები, რათა ქვეყანაში იყოს კონკურენტული ბიზნესგარემო.

ზაქარია წიკლაურმა ისაუბრა ამბროსი ხელაიას გმირობაზე, მის ღვაწლზე ქვეყნის წინაშე და განაცხადა, რომ პარადოქსია, რომ თბილისში არ გვაქვს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ეროვნული გმირის, ამბროსი ხელაიას ქუჩა მაშინ, როდესაც ზემო ფონიჭალაში არის ბოლშევიკური რეპრესიების ერთ-ერთი ორგანიზატორის, ლევან ღოღობერიძის ქუჩა. აქედან გამომდინარე, ფრაქციის „ხალხის ძალა“ სახელით, საკრებულოს მიმართა ინიციატივით, რომ გადაერქვას სახელი ლევან ღოღობერიძის ქუჩას და მის ნაცვლად, მიენიჭოს იმ პიროვნების სახელი, ვინც ნამდვილად განასახიერებს ქართულ ღირსებას, ეროვნულ ცნობიერებასა და შთაგონებას აძლევს მომავალ თაობას. აქვე განაცხადა: „ეს ინიციატივა მხოლოდ სახელის შეცვლას არ ნიშნავს, ეს არის ისტორიული სიმართლის აღდგენა, ეროვნული თვითშეგნების დაცვა და იმ ფასეულობების განმტკიცება, რომელზეც დგას და უნდა იდგეს ჩვენი სახელმწიფო“.

ლევან აბაშიძე გამოეხმაურა ზაქარია წიკლაურის ინიციატივას და აღნიშნა, რომ თბილისში არის სხვა ქუჩებიც, რომლებიც ამ კონტექსტში სადისკუსიოა და გამოთქვა მოსაზრება, რომ საკრებულომ, ოპოზიციის ჩართულობით, ერთიან კონსტექსტში იმსჯელოს ყველა მსგავსი სახელის ქუჩასთან დაკავშირებით.

ზურაბ აბაშიძემ აღნიშნა, რომ იზიარებს ლევან აბაშიძის მიდგომას და უმჯობესი იქნება, კომისიურ რეჟიმში, ამ თემით დაინტერესებული საკრებულოს წევრების ჩართულობით, ერთიანად იქნას განხილული, თუ სად და რომელი ქუჩის სახელდებაა შესაცვლელი.

ბექა ოდიშარიამ განაცხადა, რომ მისთვის სიახლეა იმის გაგება, რომ თბილისში არ არის ამბროსი ხელაიას ქუჩა და მადლობა გადაუხადა ფრაქციის „ხალხის ძალა“ თავმჯდომარეს და წევრებს დაყენებული ინიციატივისთვის. აქვე აღნიშნა, რომ იზიარებს ლევან აბაშიძის პოზიციას, რომ ყველა მსგავსი საკითხი საკრებულომ უნდა განიხილოს კომისიური წესით და განაცხადა: „ეს ინიციატივა ჩემთვის ნიშანდობლივია, მან უნდა მიიღოს ტენდენციის სახე და თუ არსებობს ისეთი ტიპის სახელდებები, რომლებიც აბსოლუტურ წინააღმდეგობაში მოდის ჩვენს ისტორიასთან, დღევანდელობასთან და მით უმეტეს, ჩვენს მომავალთან, იქნას გადაფასებული.“

ზურაბ ჩიკვილაძემ განაცხადა: „გამორჩეული დღე გვაქვს დღეს დედაქალაქში“, რადგან თბილისის ბიუჯეტი იზრდება 300000000 ლარით, რის შედეგადაც მისი მთლიანი მოცულობა 2500000000 ლარს გადააჭარბებს, რაც, თავის მხრივ, მოგვცემს იმის საშუალებას, რომ თბილისი იყოს უფრო მოდერნიზებული და განვითარებული ქალაქი. გამოეხმაურა ზაქარია წიკლაურის მიერ გაჟღერებულ ინიციატივას, ფრაქციის „ხალხის ძალა“ წევრებს მადლობა გადაუხადა, სრული მხარდაჭერა გამოხატა ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ სახელით და განაცხადა, რომ აღნიშნული ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივაა იმის გათვალისწინებითაც რომ, სამწუხაროდ, თბილისში ჯერ კიდევ არის დარჩენილი მსგავსი დასახელების ქუჩები, რაც ჩვენი საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი თემაა, რადგან XX საუკუნის საქართველოს ყველაზე მტკივნეული და ტრაგიკული ისტორია სწორედ ბოლშევიზმთან და გასაბჭოებთან არის დაკავშირებული.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის N5-8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის N52-16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ლომინაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

4. „მისამართებზე - ქ.თბილისი, საირმეს ქ.N37 (ს/კ. N01.10.14.024.036), ქ.თბილისი, მუხაძის ქ.N4 (ს/კ. N01.14.11.024.004), ქ.თბილისი, ი.აბაშიძის ქ.N55 (ს/კ. N01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

5. „ქალაქ თბილისში, ლიბანის შესახვევი N22-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.009.008) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

6. „ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N18-ში მდებარე კომერციული ფართი N2-ის (საკადასტროკოდი: N01.19.20.017.008.01.02.002) და ბინა N9-ის (საკადასტროკოდი: N01.19.20.017.008.01.01.009) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების სასკითხის შეთნხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

7. „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N5ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.005.009.02.003) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

8. „ქალაქ თბილისში, ალექსი შიუკაშვილის ქუჩა N45-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.116.01.505) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

9. „ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N48-66-ის მიმდებარედ არსებული 4100 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.03.035.570) არსებული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ტიერა ჯგუფისთვის“ (ს/ნ. 405410648) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

10. „ქ.თბილისში, რკინის რიგის ქუჩაზე არსებული 536 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.03.061.039) 35 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით კახაბერ გზირიშვილისთვის (პ/ნ. 01002011178) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

11. „ქალაქ თბილისში, ჭოველიძის ქუჩა (ყოფილი ბელინსკი) N19-ის მიმდებარედ 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.02.016.037) პირდაპირი განკარგვის წესით, ლევან ჩერქეზიშვილისთვის (პ/ნ. 01018003299) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

12. „ქალაქ თბილისში, ოთარ თაქთაქიშვილის ქუჩა N5-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.004.501)პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სავარასთვის“ (ს/ნ.405798793) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

13. „ქალაქ თბილისში, ირაკლი აბაშიძის ქუჩა N29-ის მიმდებარედ არსებული 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.017.022) პირდაპირი განკარგვის წესით მარინე ჯიქიძისთვის (პ/ნ. 01025010458) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

14. „ქალაქ თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა N3-ში არსებული 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.030.016) ნინო ბაღაშვილისთვის (პ/ნ. 01030032630) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ. 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №-806-2-30670 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ. 404561568) მიმართ რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ. 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ. 404561568) მიმართ რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ბრბ სოლარს“ (ს.კ. 404746673) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №-806-3-30671 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების და შპს „ბრბ სოლარის“ (ს.კ. 404746673) მიმართ რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თბილისის საოჯახო მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრს“ (ს/ნ. 404977325) შორის გასატარებელი რიგი ღონისძიებების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და სს „გრინ ქეფითალს“ (ს/ნ. 405447903) შორის 2021 წლის 21 სექტემბერს გაფორმებული „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში/ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.14.06.004.002 (ფართობი - 103443 კვ.მ.) (წინა საკადასტრო კოდები: (ს/კ. N01.14.06.003.058; N01.14.06.003.003; N01.14.06.003.004; N01.14.06.003.060; N01.14.06.006.127) და N01.14.06.006.131 (ფართობი - 15720 კვ.მ.) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული სს „გრინ ქეფითალისათვის“ (ს/ნ. 405447903) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ნიუ გლდანს“ (ს/ნ. 405653859) შორის 2024 წლის 1 ივლისს გაფორმებულ „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე N01.72.13.397.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 16000 კვ.მ. ფართობი მიწის ნაკვეთის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნიუ გლდანისთვის“ (ს/ნ. 405653859), პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და

ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ნიუ გლდანის“ (ს/ნ. 405653859) გათავისუფლების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

21. „ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი N11ა-ში არსებული 10327 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.12.01.004.037) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თბილისი ბავშვთა განვითარების ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ 412792214) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 ივლისის N344 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვაშაკიძე

22. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სანდრო ეულის ქუჩა N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.05.007.719, ფართობი - 9354 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

23. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N234ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.202.011, ფართობი - 6988 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

24. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ხატაეთის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.036.812; ფართობი - 659 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

25. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზწით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბოჭორმის ქუჩა N25-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.045.217, ფართობი - 6043 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 აგვისტოს N373 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბოჭორმის ქუჩა N25-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.045.217, ფართობი - 6043 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

26. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, პატარძეულის ქუჩის მიმდებარედ/ვაზისუბნის დასახლება, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.10.001.098; ფართობი - 2146 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების

თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 21 ნოემბრის N68 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

27. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ონიანის ქუჩა, N4-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.047.017, ფართობი: 1242 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

28. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N113-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.09.009.026, ფართობი: 14123 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

29. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

30. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში; ქალაქი თბილისი, ნიკო კეცხოველის N58-ში არსებული, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.005.560) განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარების დასაშვებობის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

31. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.006.151; N01.10.18.006.330-ის ნაწილი) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

32. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში, ნიკოლოზ მათიკაშვილის ქუჩა N7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.81.02.226.040) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

33. „ქალაქ თბილისში, აბუსერიძე-ტბელის ქუჩა N15-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.12.019.001) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

34. „ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის N118; N118ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.13.05.002.133; N01.13.05.002.071) მრავალფუნქციური კომპლექსის

განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

35. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.81.08.406.013) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

36. „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში; ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, წყაროს თავთან არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.27.152; N72.16.27.041; N72.16.27.035; N72.16.09.177; N72.16.09.176) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

37. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.96.607; N81.02.95.411; N81.02.02.305; N81.02.02.570; N81.02.02.318) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

38. „ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N40 (ნაკვ. 21/023; ნაკვ. 21/024); ქალაქი თბილისი, კალოუბნის ქუჩა N31დ; ქალაქი თბილისი, III მასივი, X კვარტ. სამხედრო დას. კორპ. N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN01.19.20.021.067; 01.19.20.021.068; 01.19.20.021.044; 01.19.20.021.035; 01.19.20.021.029; 01.19.20.021.039; 01.19.20.021.040; 01.19.20.021.041; 01.19.20.021.042; 01.19.20.021.043; 01.19.20.021.072; 01.19.20.021.070; 01.19.20.021.092; 01.19.20.021.084; 01.19.20.021.122; 01.19.20.021.085; 01.19.20.021.062; 01.19.20.021.027; 01.19.20.021.034; 01.19.20.021.020; 01.19.20.021.124) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

39. „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 3 სექტემბრის N318960 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

40. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის შესახვევის N17-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 მარტის N56 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

41. „ქალაქ თბილისში, ხევმმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.13.001.117) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25

ივნისის N188 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

42. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, დავით სარაჯიშვილის ქუჩისთვის დავით სარაჯიშვილის გამზირის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

43. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ჰოსპიტლის შესახვევისთვის ჰოსპიტლის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

44. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში, ქედის ქუჩის გავრცელების არეალის დაზუსტების და ქედის ქუჩის მონაკვეთისთვის ხანძთის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

45. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში, საირმის II შესახვევის გავრცელების არეალის კორექტირების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

46. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, გელა ოჩიაურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის, გურამ სოლოღაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

47. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, აბუსერიძე ტბელის ქუჩისთვის და სახალხოს III ჩიხისთვის ტბელ აბუსერისძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

48. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, სოფელ გლდანში, 26 მაისის ქუჩასთან, თბილისის შემოსავლელ გზატკეცილზე არსებული ხიდის ქვედა დონეზე მდებარე უსახელო გასასვლელისთვის 26 მაისის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

49. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, რეზო გაბაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის რეზო გაბაშვილის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან აბაშიძე

50. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2025 წლის 6 თვის (01.07.2025-31.12.2025) მუშაობის ანგარიში“.

მომხსენებელი: კახაბერ ლაბუჩიძე

მომხრე - 39

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის N5-8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ბიუჯეტში გარდამავალი ნაშთის ასახვა, რაც შეადგენს 273860000 ლარს, საიდანაც დაახლოებით 190000000 ლარამდე არის 2025 წლის შემოსავლების გადაჭარბებიდან, ხოლო დანარჩენი არის ეკონომიები. ამასთანავე, 2026 წლის თბილისის ბიუჯეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სხვა კაპიტალური გრანტების მუხლით, ემატება 22560000 ლარი, საიდანაც 5000000 ლარი არის დღგ, ხოლო 17560000 ლარი გამოყოფილია რეგიონული განვითარების სამინისტროს მიერ, თბილისის სკოლებში მოსწავლეების ტრანსპორტირებისთვის. ხსენებული ცვლილებებით, თბილისის 2026 წლის ბიუჯეტი ჯამურად იზრდება 296420000 ლარით და შეადგენს 2506978000 ლარს. აქვე განმარტა, რომ ზემოთ ხსენებული თანხა გადანაწილებულია სხვადასხვა მიმართულებებით, მათ შორის, აღსანიშნავია ორი ახალი პროგრამა: ფართების გამოსყიდვები, სადაც მიმართულია 10000000 ლარი და ფილტვის სკრინინგის პროგრამა, რომლის ბიუჯეტიც, ამ ეტაპზე, განისაზღვრა 3000000 ლარით.

ზურაბ აბაშიძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის პროექტი განხილულია საკრებულოს კომისიებზე და წარმოდგენილი მნიშვნელოვანი ცვლილებები გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ გავაკეთოთ კიდევ უფრო მეტი კარგი საქმე.

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი დაინტერესდა, თუ რა თანხა დაემატა ავარიული შენობების გამაგრების მიმართულებას.

გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ ავარიული შენობების გამაგრების მიმართულებით თანხები ემატება შემდეგნაირად: საყრდენი კედლების მშენებლობა-რეკონსტრუქცია-გამაგრება - 10000000 ლარი, მეწყერსაშიში ზონების მონიტორინგი - 5000000 ლარი, საპროექტო მიმართულება - 1000000 ლარი, ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-გაძლიერების მუხლი - 5500000 ლარი. გარდა ამისა, 4000000 ლარი გათვალისწინებულია დაზიანებული ინფრასტრუქტურის მიმართულებით და 2000000 ლარი კლდოვანი ფერდობების ჩამოწმენდა-გამაგრების სამუშაოებისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 4

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის N52-16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ნინო ლომინაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით გასწორდა ტექნიკური ხასიათის ხარვეზები და ამასთანავე, შეიცვალა შესრულებული სამუშაოს წარდგენის თარიღი, რომელიც 8-ის ნაცვლად განისაზღვრა 5 რიცხვით.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 35

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის საფუძველზე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლების მიერ, სხვადასხვა სამართალდარღვევების გამოვლენისას დაწერილი ჯარიმები შესაძლებელია გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა ჩაბარდეს დაინტერესებულ მხარეს და უნდა აღსრულდეს. თუმცა, რიგ შემთხვევებში, მიზანმიმართულად, სხვადასხვა მიზეზების გამო, არ ხდება აღნიშნული გადაწყვეტილებების ჩაბარება და შესაბამისად, ვერ ხერხდება მისი აღსრულებაც. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია წესი, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებში მიღებული გადაწვეტილება საჩივრის ავტორს გაეგზავნება არა უმეტეს შვიდი დღის ვადაში, საჩივარში მითითებულ მისამართზე და იმ შემთხვევში, თუ გადაწყვეტილება არ ჩაბარდება ადრესატს, ის გამოქვეყნდება მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე და გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს გადაწყვეტილება ჩაითვლება გაცნობილად, რის შემდეგაც მოხდება მისი აღსრულება.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 4

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

4. „მისამართებზე - ქ.თბილისი, საირმეს ქ.N37 (ს/კ. N01.10.14.024.036), ქ.თბილისი, მუხაძის ქ.N4 (ს/კ. N01.14.11.024.004), ქ.თბილისი, ი.აბაშიძის ქ.N55 (ს/კ. N01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ე.წ. „ათორის“ დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებული პირებისთვის კომპენსაციის გაცემის საკითხი, კერძოდ, ერთ პირს, ფულადი კომპენსაციის სახით, გადაეცემა 75000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ პროსეცი გრძელდება - ეტაპობრივად, მიმდინარეობს დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებული პირების დაკმაყოფილება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

5. „ქალაქ თბილისში, ლიბანის შესახვევი N22-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.009.008) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 578 კვ.მ. ფართის გადაცემა შვიდი ოჯახისთვის, რომლებიც 1980-2012 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

6. „ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N18-ში მდებარე კომერციული ფართი N2-ის (საკადასტროკოდი: N01.19.20.017.008.01.02.002) და ბინა N9-ის (საკადასტროკოდი: N01.19.20.017.008.01.01.009) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების სასკითხის შეთნხმების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ და განმარტა, რომ კალოუბნის N18-ში თბილისის განვითარების ფონდი ახორციელებს სახლების ჩანაცვლების პროექტს, რომლის ფარგლებშიც მოხდა სამი ავარიული შენობის ჩანაცვლება, რომელთა ნაცვლად უნდა აშენდეს ერთი, ათსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი, რომლის მშენებლობის ფონზე, დაზიანდა მოქალაქის საკუთრებაში არსებული ფართები. აქედან გამომდინარე, ფონდმა მოგვმართა წერილით, რომ მოხდეს ქონების ჩანაცვლება, რის საფუძველზეც წარმოდგენილია პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ლარად, უძრავი ქონების გადაცემა. აქვე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემი ქონების ღირებულება შეადგენს 89188 ლარს, რის სანაცვლოდაც მოქალაქეს გადაეცემა 50 კვ.მ. კომერციული ფართი და 29 კვ.მ. ბინა.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 37

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

7. „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N5ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.005.009.02.003) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ერთ ლარად, ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 1999 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

8. „ქალაქ თბილისში, ალექსი შიუკაშვილის ქუჩა N45-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.116.01.505) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 53 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2008 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

9. „ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N48-66-ის მიმდებარედ არსებული 4100 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.03.035.570) არსებული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ტიერა ჯგუფისთვის“ (ს/ნ. 405410648) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მიწის ნაკვეთის გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის ვადა არის 2026 წლის 24 ნოემბრამდე, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 480 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

10. „ქ.თბილისში, რკინის რიგის ქუჩაზე არსებული 536 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.03.061.039) 35 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით კახაბერ გზირიშვილისთვის (პ/ნ. 01002011178) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მიწის ნაკვეთის გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 10500 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 37

თავი შეიკავა -1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

11. „ქალაქ თბილისში, ჭოველიძის ქუჩა (ყოფილი ბელინსკი) N19-ის მიმდებარედ 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.02.016.037) პირდაპირი განკარგვის წესით, ლევან ჩერქეზიშვილისთვის (პ/ნ. 01018003299) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მიწის ნაკვეთის გადაცემა, კიბის მოწყობის მიზნით. იჯარის ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 144 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

12. „ქალაქ თბილისში, ოთარ თაქთაქიშვილის ქუჩა N5-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.004.501)პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სავარასთვის“ (ს/ნ.405798793) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მიწის ნაკვეთის გადაცემა, კიბის ფუნქციონირების მიზნით. იჯარის ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 1920 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

13. „ქალაქ თბილისში, ირაკლი აბაშიძის ქუჩა N29-ის მიმდებარედ არსებული 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.017.022) პირდაპირი განკარგვის წესით მარინე ჯიქიძისთვის (პ/ნ. 01025010458) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მიწის ნაკვეთის გადაცემა, კიბის ფუნქციონირების მიზნით. იჯარის ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 576 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

14. „ქალაქ თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა N3-ში არსებული 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.030.016) ნინო ბაღაშვილისთვის (პ/ნ. 01030032630) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მიწის ნაკვეთის გადაცემა, კიბის ფუნქციონირების მიზნით. იჯარის ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 1152 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ. 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ N9-806-2-30670 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ. 404561568) მიმართ რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი და მომდევნო ორი საკითხი შინაარსობრივად იდენტურია და ეხება ელექტრო დამტენების მონტაჟს. ორ შემთხვევაში გამარჯვებული კომპანია არის შპს „ქართლიენერჯი“, ხოლო ერთ შემთხვევაში - შპს „ბრბ სოლარი“, რომლებსაც ელექტრო დამტენების მოწყობის ვადებთან დაკავშირებით შეექმნათ გარკვეული პრობლემები და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია ვადის გახანგრძლივება და ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საიჯარო ქირის გადახდა მოხდება ყველა ელექტრო დამტენის დამონტაჟების შემდეგ.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 39

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ. 404561568) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №-806-1-30669 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს.კ. 404561568) მიმართ რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ბრბ სოლარს“ (ს.კ. 404746673) შორის 2025 წლის 19 თებერვალს გაფორმებულ №-806-3-30671 „პირობებით გამოცხადებულ აუქციონის ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების და შპს „ბრბ სოლარის“ (ს.კ. 404746673) მიმართ რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 37

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თბილისის საოჯახო მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრს“ (ს/ნ. 404977325) შორის გასატარებელი რიგი ღონისძიებების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ და განმარტა, რომ 2013 წელს, „თბილისის საოჯახო მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრს“,მართვის უფლებით, გადაეცა სამედიცინო ცენტრი იმ პირობით, რომ ის განახორციელებდა 800000 ლარის ინვესტიციას და 2012-2013 წლების დივიდენდს გადასცემდა ქონების მართვის სააგენტოს. იქიდან გამომდინარე, რომ ხსენებული პირობა შესრულებულია ნაწილობრივ, სააგენტომ მიმართა სასამართლოს, წილის მართვის საფასურის, კერძოდ, 85000 ლარის და დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნით და ამასთანავე, დააყენა 800000 ლარის ინვესტირების დასაბუთების საკითხი. ვინაიდან მოთხოვნების ნაწილი იყო ხანდაზმული და სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოც მცირდება თითქმის ათჯერ, მხარეებს შორის შედგა შეთანხმება, რომ ცენტრი გადაიხდის 250000 ლარს, რაც მისაღებია სააგენტოსთვის. აქვე აღნიშნა, რომ ხსენებული თანხა გადანაწილდება ორ წელზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ცენტრი ვერ შეასრულებს ამ პირობას, განახლდება პირვანდელი ვალდებულებები.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 37

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და სს „გრინ ქეფითალს“ (ს/ნ. 405447903) შორის 2021 წლის 21 სექტემბერს გაფორმებული „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში/ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.14.06.004.002 (ფართობი - 103443 კვ.მ.) (წინა საკადასტრო კოდები: (ს/კ. N01.14.06.003.058; N01.14.06.003.003; N01.14.06.003.004; N01.14.06.003.060; N01.14.06.006.127) და N01.14.06.006.131 (ფართობი - 15720 კვ.მ.) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული სს „გრინ ქეფითალისათვის“ (ს/ნ. 405447903) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი ეხება კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულებს, კერძოდ, პროექტით დაკმაყოფილდა კოოპერატივის 73 წევრი. პროექტის დასრულების ვადად განსაზღვრული იყო 2026 წლის თებერვალი, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ტერიტორიაზე იყო შეჭრილი პირი, რომელთანაც კომპანიას მოუწია სასამართლო დავა, რის გამოც გაიწელა სამუშაოები, მოითხოვა ვადის გახანგრძლივება ერთი წლით, რაზეც თანახმა არიან კოოპერატივის წევრები და შესაბამისად, წარმოდგენილია პროექტის დასრულების ვადის გახანგრძლივება 2027 წლის 24 თებერვლამდე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 37

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ნიუ გლდანს“ (ს/ნ. 405653859) შორის 2024 წლის 1 ივლისს გაფორმებულ „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე N01.72.13.397.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 16000 კვ.მ. ფართობი მიწის ნაკვეთის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ნიუ გლდანისთვის“ (ს/ნ. 405653859), პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ნიუ გლდანის“ (ს/ნ. 405653859) გათავისუფლების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი ეხება კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულებს, კერძოდ, 2024 წელს, შპს „ნიუ გლდანსა“ და სააგენტოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, კომპანიას მშენებლობის ნებართვა უნდა აეღო 2025 წლის 7 ოქტომბერს, თუმცა, აიღო ორი დღის დაგვიანებით, რის გამოც დაეკისრა პირგასამტეხლო 16000 ლარის ოდენობით. ამასთანავე, დაარღვია კოოპერატივის წევრებისთვის განშლის გაკეთების სავალდებულო პირობა, რისთვისაც დაეკისრა პირგასამტეხლო 8000 ლარის ოდენობით. იქიდან გამომდინარე, რომ პროექტი სოციალური ხასიათისაა, წარმოდგენილია შპს-ს გათავისუფლება დაკისრებული

პირგასამტეხლოს გადახდისგან და საჯარო რეესტრში პროცედურების წარმოებისთვის საჭირო ვადის გახანგრძლივება სამი თვით.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

21. „ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი N11ა-ში არსებული 10327 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.12.01.004.037) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თბილისი ბავშვთა განვითარების ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ 412792214) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 ივლისის N344 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ვაშაკიძემ და განმარტა, რომ დავით გურამიშვილის N11ა-ში არსებული საფეხბურთო მოედანი და შენობა-ნაგებობები გადაეცა „თბილისის ბავშვთა განვითარების ფეხბურთის ასოციაციას“, 719913 ლარის ინვესტიციის განხორციელებისა და იქ არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის პირობით, რაც, შეუძლებელი აღმოჩნდა შენობების მდგომარეობიდან გამომდინარე. ცვლილებით წარმოდგენილია ვალდებულების მოხსნა, რის სანაცვლოდაც ფეხბურთის ასოციაცია დაიწყებს ახალ მშენებლობას და პროექტის დასრულების ვადის გახანგრძლივება 2027 წლის 31 დეკემბრამდე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 40

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

22. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სანდრო ეულის ქუჩა N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.05.007.719, ფართობი - 9354 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ დაინტერესებული პირი, სანდრო ეულის ქ.N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 4.2-დან 4.4-მდე გადამეტების სანაცვლოდ, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, ბიუჯეტში გადაიხდის 1366000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

23. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N234ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.202.011, ფართობი - 6988 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ დაინტერესებული პირი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N234ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.5-მდე გადამეტების სანაცვლოდ, რაც გულისხმობს ორ ბლოკზე 6 და 4 მიწისზედა სართულის მატებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, ბიუჯეტში გადაიხდის დაახლოებით 2500000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

24. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ხატაეთის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.036.812; ფართობი - 659 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ დაინტერესებული პირი, სოფელ დიღომში, ხატაეთის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 1.5-დან 2.1-მდე გადამეტების სანაცვლოდ, რაც გულისხმობს ერთი მიწისზედა სართულის მატებას და 6 სართულიანი შენობის განთავსებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, ბიუჯეტში გადაიხდის დაახლოებით 212000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

25. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზწით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბოჭორმის ქუჩა N25-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.045.217, ფართობი - 6043 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 აგვისტოს N373 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბოჭორმის ქუჩა N25-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.045.217, ფართობი - 6043 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ დაინტერესებული პირის მიერ, ბოჭორმის ქ.N25-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მოთხოვნილია განაშენიანების ინტენსივობის ნამატი კ2 კოეფიციენტის - 5.1-ის ფარგლებში სართულიანობის ცვლილება, კერძოდ, აქამდე მთელი ნამატი ფართი უნდა

გადანაწილებულიყო სამ ბლოკზე, ხოლო, ამ ეტაპზე, წარმოდგენილია მატება მხოლოდ ერთ ბლოკზე, რის შედეგადაც 22 სართულიანის ნაცვლად, განთავსდება 26 სართულიანი შენობა-ნაგებობა.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 37

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

26. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, პატარძეულის ქუჩის მიმდებარედ/ვაზისუბნის დასახლება, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.10.001.098; ფართობი - 2146 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 21 ნოემბრის N68 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ ვაზისუბნის დასახლებაში, პატარძეულის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე განხორციელდა განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის მატება 2.5-დან 3.2-მდე. ამ ეტაპზე წარმოდგენილია გაზრდილი კოეფიციენტის შემცირება 3.0-მდე, რაც გულისხმობს შენობა-ნაგებობის სართულიანობის შემცირებას ერთი სართულით და 11 სართულიანის ნაცვლად, 10 სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას. შესაბამისად, მცირდება მაკომპენსირებელი თანხის ოდენობაც და ხსენებული ცვლილების გამო, დაინტერესებული პირი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, ბიუჯეტში გადაიხდის დაახლოებით 500000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

27. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ონიანის ქუჩა, N4-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.047.017, ფართობი: 1242 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ დაინტერესებული პირი, ალექსანდრე ონიანის ქ.N4-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 3.5-დან 5.0-მდე გადამეტების სანაცვლოდ, რაც გულისხმობს 9 სართულიანის ნაცვლად 12 სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, ბიუჯეტში გადაიხდის დაახლოებით 1200000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 35

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

28. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N113-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.09.009.026, ფართობი: 14123 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ დაინტერესებული პირი, ვახტანგ გორგასლის ქ.N113-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 3.1-დან 3.8-მდე გადამეტების სანაცვლოდ, რაც გულისხმობს ორ ბლოკზე 5 და 3 სართულის მატებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, ბიუჯეტში გადაიხდის დაახლოებით 3000000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

29. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წინადადებები წარმოდგენილია თბილისის მერის წერილებით: N12-032601650-03 თარიღი: 16.01.2026, N12-032602071-03 თარიღი: 20.01.2026, N12-032602350-03 თარიღი: 23.01.2026, N12-0326029153-03 თარიღი: 29.01.2026 და N12-0326029164-03 თარიღი: 29.01.2026, რომლებზეც, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 35

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

30. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში; ქალაქი თბილისი, ნიკო კეცხოველის N58-ში არსებული, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.005.560) განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარების დასაშვებობის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ ხსენებული ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარების დასაშვებობის გადაწყვეტილება ერთხელ უკვე მიღებულია, თუმცა, მას შემდეგ შეიცვალა ტერიტორიის საპროექტო გეგმარება.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 37

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

31. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.006.151; N01.10.18.006.330-ის ნაწილი) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 9000 კვ.მ., სადაც ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 3 და სატყეო ზონა, თუმცა, ტერიტორია განვითარდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის პარამეტრებით და განთავსდება ორი შენობა - კომერციული და საოფისე, რომელთა მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 4 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

32. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში, ნიკოლოზ მათიკაშვილის ქუჩა N7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.81.02.226.040) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია დაახლოებით 1 ჰექტარი, სადაც, არსებული, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება თერთმეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 35

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

33. „ქალაქ თბილისში, აბუსერიძე-ტბელის ქუჩა N15-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.12.019.001) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 13000 კვ.მ., სადაც ვრცელდება სამრეწველო ზონა 1, თუმცა, ტერიტორია განვითარდება საცხოვრებელი ზონა 5-ის პარამეტრებით და განთავსდება ორი მრავალბინიანი, თორმეტსართულიანი საცხოვრებელი სახლი და ერთი ერთსართულიანი კომერციული ობიექტი. აქვე აღნიშნა, რომ ზონის ცვლილება ფასიანია და ფასთა შორის სხვაობა გადახდილი იქნება გრგ-ს ეტაპზე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

34. „ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის N118; N118ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.13.05.002.133; N01.13.05.002.071) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 10 ჰექტარი, თუმცა, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 13 ნოემბრის განკარგულების დანართით განსაზღვრული დეველოპერული მიწის ნაკვეთის ფართობი არის დაახლოებით 5 ჰექტარი, რომელიც ვითარდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით, შერეული - საცხოვრებელი და საზოგადოებრივი ფუნქციით. ტერიტორიაზე მოეწყობა საზოგადოებრივი კომპლექსი, სადაც განთავსდება 10 ბლოკისგან შემდგარი 5 შენობა-ნაგებობა. აქვე აღნიშნა, რომ შენობების სართულიანობა არის პირობითი და განსაზღვრულია მაქსიმუმ 30 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

35. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.81.08.406.013) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 6 ჰექტარი, სადაც, არსებული, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება სამოცდათვრამეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 35

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

36. „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში; ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, წყაროს თავთან არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.27.152; N72.16.27.041; N72.16.27.035; N72.16.09.177; N72.16.09.176) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 13243 კვ.მ., სადაც დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება თვრამეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

37. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.96.607; N81.02.95.411; N81.02.02.305; N81.02.02.570; N81.02.02.318) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 17782 კვ.მ., სადაც დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, სარეკრეაციო ზონა 3-ის პარამეტრებით, განთავსდება თოთხმეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

38. „ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N40 (ნაკვ. 21/023; ნაკვ. 21/024); ქალაქი თბილისი, კალოუბნის ქუჩა N31დ; ქალაქი თბილისი, III მასივი, X კვარტ. სამხედრო დას. კორპ. N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN01.19.20.021.067; 01.19.20.021.068; 01.19.20.021.044; 01.19.20.021.035; 01.19.20.021.029; 01.19.20.021.039; 01.19.20.021.040; 01.19.20.021.041; 01.19.20.021.042; 01.19.20.021.043; 01.19.20.021.072; 01.19.20.021.070; 01.19.20.021.092; 01.19.20.021.084; 01.19.20.021.122; 01.19.20.021.085; 01.19.20.021.062; 01.19.20.021.027; 01.19.20.021.034; 01.19.20.021.020; 01.19.20.021.124) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 28888 კვ.მ., სადაც 2025 წელს დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ტერიტორიაზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1, მაგრამ, ვითარდება გენ.გეგმით დადებული მესამე მასივის გრგ-ს არეალის რეგლამენტის შესაბამისად, სადაც კ2 კოეფიციენტი არის 5.0, თუმცა, მიწის ნაკვეთი ჯამურად ვითარდება კ2 კოეფიციენტი 4.3-ით. ტერიტორიაზე განთავსდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, რომელთა მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 12-18 სართულით.

გიორგი დოხტურიშვილმა აღნიშნა, რომ კალოუბნის ქ.N40-ის მიმდებარედ, კერძოდ, კალოუბნის N36-ში, III-IV კატეგორიის ავარიულ სახლებში ცხოვრობს 36 ოჯახი და დაინტერესდა, რამდენად შესაძლებელია, რომ ზემოთ ხსენებულ პროექტში გათვალისწინებული იყვნენ ეს ოჯახებიც. აქვე აღნიშნა, რომ ამ ადამიანებს, ასპროცენტიანი მზაობა აქვთ ჩანაცვლების პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით.

ნინო ბაგაშვილმა განმარტა, რომ ხსენებული პროექტის განხორციელების შემდეგ, მუნიციპალიტეტს გადმოეცემა 23000 კვ.მ. ფართი სწორედ მესამე მასივში, ავარიულ ბინებში მაცხოვრებელი ოჯახების დაკმაყოფილების მიზნით. ამ ეტაპზე, ქონების მართვის სააგენტოში იწყება პროცედურები ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებით და შესაბამისად, სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად, შესაძლებელია იმაზე მსჯელობა, თუ ვის გადასცემს მუნიციპალიტეტი მისთვის გადაცემულ ფართებს. აქვე განმარტა, რომ ის, რაზეც საუბრობს გიორგი დოხტურიშვილი, არის სხვა პროგრამა, რომელსაც ახორციელებს თბილისის განვითარების ფონდი, ხოლო წარმოდგენილი პროექტი ხორციელდება კერძო ინვესტორის მიერ.

გიორგი გვენეტაძემ განაცხადა, რომ როდესაც კოეფიციენტი ზღუდავას სართულების რაოდენობას კონკრეტულ ტერიტორიაზე, ეს იმას ნიშნავს, რომ სპეციალისტების აზრით, ამ

ზონაში დაშვებულზე მეტი სართულიანობა იქნებოდა ცუდი და დაინტერესდა, მას შემდეგ, რაც დეველოპერი გადაიხდის ასობით ათას ლარს ბიუჯეტში, როგორ გახდება იმ ტერიტორიაზე მაღალსართულიანი შენობის აშენება კარგი, ხოლო თუ თავიდანვე კარგი და შესაძლებელია, მაშინ რატომ დაწესდა შეზღუდვა? მისი თქმით, თუ მშენებლებს თავიდანვე ექნებათ შესაძლებლობა დააპროექტონ მაღალსართულიანი სახლი, მიიღებენ უფრო მეტ მოგებას და შესაბამისად, მეტ ხელფასს გადაუხდიან თანამშრომლებს და ადამიანებსაც უფრო იაფად შესთავაზებენ შექმნილ პროდუქტს. აქედან გამომდინარე, გამოდის, რომ კოეფიციენტები მოფიქრებულია იმისთვის, რომ დამატებითად დაიბეგრონ ადამიანები და შეივსოს ბიუჯეტი, რაც საბოლოოდ ტვირთად აწვება იმ მოქალაქეებს, რომლებიც ყიდულობენ ამ ბინებს. აქვე აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარია, რა მნიშვნელობა და ფასეულობა აქვს ისეთ გენ.გეგმას ან კოეფიციენტებს, რომლებსაც ბიზნესმენი ვერ დაეყრდნობა ბიზნესპროექტის დაწერის დროს და განაცხადა, რომ არავითარი შინაარსი არ აქვს ისეთი დოკუმენტის არსებობას, როდესაც წინასწარ ვიცით, რომ შეგვიძლია მივმართოთ ადამიანთა ჯგუფს, რომელიც განიხილავს პროექტს და მიიღებს ამა თუ იმ გადაწყვეტილებას. აქედან გამომდინარე, გამოთქვა თავისი მოსაზრება: „იქნებ გავაუქმოთ გენ.გეგმა და გავათავისუფლოთ მშენებლები ან თავი დავანებოთ კოეფიციენტებით ვაჭრობას და ადამიანების დამატებით დაბეგვრას.“

ზურაბ აბაშიძე გამოეხმაურა გიორგი გვენეტაძის გამოსვლას და აღნიშნა, რომ ახალი მშენებლობების დროს, საკმაოდ მაღალია მომართვიანობა კ2-ის მატებასთან დაკავშირებით, თუმცა, ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც თბილისის მერია და საკრებულო უარს ამბობს თუნდაც ერთი ან ორი სართულის მატებაზე, რადგან, ურბანული თვალსაზრისით, არ მიაჩნია მიზანშეწონილად. თუმცა, იქ სადაც თავიდანვე არ იყო განსაზღვრული მაღალსართულიანობა, მაგრამ ქალაქმშენებლობითი თვალსაზრისით შესაძლებელია რამდენიმე სართულის მომატება, კ2 კოეფიციენტის გაზრდა ხდება იმ მიზნით, რომ ბიუჯეტში გადახდილი თანხა მიმართული იყოს კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად.

ნინო ბაგაშვილმა განმარტა, რომ გენ.გეგმით განსაზღვრულია ამა თუ იმ ტერიტორიის ფუნქციები და კოეფიციენტები, თუმცა, ის არ არის შესული თითოეული მიწის ნაკვეთის დეტალურად განხილვაში და შესაბამისად, საგამონაკლისო წესით, იმ შემთხვევაში, თუ ქალაქგეგმარებითად საბუთდება, რომ კონკრეტულ ტერიტორიაზე შეიძლება აშენდეს რამდენიმე სართულით მაღალი შენობა-ნაგებობა, პროექტს ეძლევა დადებითი რეკომენდაცია. აქვე განმარტა, რომ, ზოგადად, როდესაც ამა თუ იმ ტერიტორიაზე ვრცელდება გარკვეული ზონა და კოეფიციენტი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთელ ტერიტორიაზე უნდა აშენდეს მაქსიმალური სართულიანობის შენობა, რადგან ეს დამოკიდებულია ბევრ სხვა რეგულაციაზე და იქიდან გამომდინარე, რომ მუნიციპალიტეტს აქვს თითოეულ მიწის ნაკვეთზე ინდივიდუალურად მსჯელობის უფლებამოსილება, გადაწყვეტილებას იღებს ყველა დეტალის გათვალისწინებით.

დავით ფანჯაკიძემ განაცხადა, რომ ასეთ მიდგომაში ვერ გამოირიცხება სუბიექტივიზმი, რადგან ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთ შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილება, ანალოგიურ შემთხვევაზე არ ვრცელდება. ამასთანავე, მისი თქმით, თუ კეთდება გამონაკლისი, ის უნდა იყოს დასაბუთებული, რათა დაინტერესებულმა პირმა იცოდეს, რომ გარკვეული პარამეტრების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდება. შესაბამისად, თუ კოეფიციენტის მომატება შესაძლებელია, უნდა იყოს გაწერილი, რა შემთხვევაშია შესაძლებელი და არ ხდებოდეს ისე, რომ გადაწყვეტილებას იღებდეს რამდენიმე ადამიანი. საუბრის ბოლოს, კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ კარგი იქნება შემუშავებული იქნას დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებს კ2 კოეფიციენტის მატების საკითხს და ეს არ მოხდება მუდმივად გამონაკლისის სახით, რადგან, „გამონაკლისი, რომელიც არის ოციდან თხუთმეტი, ის გამონაკლისი აღარ არის და წესისკენ მიემართება“.

ზურაბ აბაშიძე გამოეხმაურა დავით ფანჯაკიძის გამოსვლას, აღნიშნა, რომ კ2 კოეფიციენტის მატებიდან მიღებული თანხები ხმარდება კეთილშობილურ საქმეს, რაც ძალიან

მნიშვნელოვანია, თუმცა, გარკვეულ ეტაპზე, ეს თემაც მივა დასასრულამდე და აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ამ საკითხზე მსჯელობა.

ნიკოლოზ კახეთელიძემ განმარტა, რომ, როგორც წესი, გენ.გეგმა ტერიტორიებს უყურებს ფართო სპექტრით და შესაბამისად, ხშირად ვერ ითვალისწინებს კონკრეტული ტერიტორიების ნიუანსებს. გენ.გეგმაში ცვლილების შეტანა ფაქტობრივად ხდება იგივე პროცედურებით, რომლითაც მოხდა მისი მიღება და ამ თვალსაზრისით, განხორციელებული ცვლილებები კანონიერია. რაც შეეხება კონკრეტულ არეალზე კოეფიციენტის მატების საკითხს, ამ დროს მერიის შესაბამისი სამსახურები და სპეციალისტები უფრო დეტალურად შეისწავლიან ტერიტორიას, რის შემდეგაც იღებენ დადებით ან უარყოფით გადაწყვეტილებას.

შალვა პერანიძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, ხატაეთის ქუჩაზე, 659 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე კ2 კოეფიციენტის გაზრდასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს შენობა-ნაგებობისთვის ერთი სართულის დამატებას და განაცხადა, რომ დიდ დიღომში მაღალსართულიანი კორპუსების მშენებლობა კიდევ უფრო დაამძიმებს ამ უბანში გზების თუ სხვა მიმართულებით არსებულ ვითარებას. მისი თქმით, კარგია, რომ ბიუჯეტში შედის თანხები, რომლითაც მუნიციპალიტეტს ეძლევა შესაძლებლობა განავითაროს სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურა, თუმცა, ფიქრობს, რომ დიდი დიღმისთვის, სოფელი დიღმისთვის ან ვაშლიჯვრისთვის ამ კორპუსებში იყოს ისეთი ღირებული რამ, რაც მუნიციპალიტეტს მისცემს ინფრასტრუქრის განვითარების საშუალებას. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ დიდ დიღომში საკმარისი რაოდენობის არც საბავშვო ბაღია და არც სკოლა და დაინტერესდა, რამდენად არის შესაძლებელი, კერძო მესაკუთრეებთან მიწის ნაკვეთის მონაცვლეობით ან რაიმე სხვა საშუალებით ამ პრობლემის მოგვარება.

ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ იზიარებს შალვა პერანიძის განწყობას, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მის მიერ ნახსენები პროექტის შემთხვევაში, დაშვებული იყო მაღალსართულიანი მრავალბინიანი კორპუსის მშენებლობა და მიმდინარე სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით ხდება მხოლოდ ერთი სართულის დამატება, რაც არ ქმნის დრამატულ მდგომარეობას.

ავთანდილ ცინცაძე გამოეხმაურა გიორგი გვენეტაძის და დავით ფანჯაკიძის განცხადებებს, რომ კ2 კოეფიციენტის მატებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს „რამდენიმე ადამიანი“ და „ადამიანთა ჯგუფი“ და განაცხადა, რომ ის ადამიანები არიან დარგის სპეციალისტები, რომლებიც წარმოადგენენ იმ სამსახურებს, რომლებსაც ამ საკითხებთან აქვთ გარკვეული შემხებლობა და გადაწყვეტილებას იღებენ არა იმის მიხედვით თუ ვინ ვინ არის, არამედ იმ კრიტერიუმების გათვალისწინებით, რომლითაც ხელმძღვანელობს კომისია.

დავით ფანჯაკიძე გამოეხმაურა ავთანდილ ცინცაძის გამოსვლას და მიმართა მას: „ჩამოწერეთ ეგ კრიტერიუმები, რომ ადამიანებმა იცოდნენ, რა კრიტერიუმების გათვალისწინებით შეიძლება ამის გაკეთება.“

ნინო ბაგაშვილმა აღნიშნა, რომ რეგულაციები გაწერილი არ არის, რადგან ქალაქგეგმარება ისეთი დარგია, რთულია სტანდარტული კრიტერიუმების ჩამოწერა, რომელიც ყველაფერს მოერგება და აქედან გამომდინარე, გარკვეული საკითხები მსჯელობის საგანია.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

39. „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 3 სექტემბრის N318960 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ კორექტირებით წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიიდან ერთი, 1054 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ამორიცხვა, რომელზეც, საცხოვრებელი ზონა 5-ის პარამეტრებით, უნდა აშენებულიყო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. აღნიშნული მიწის ამორიცხვა ხდება იქიდან გამომდინარე, რომ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნაცვლად, დაგეგმილია მიწის ნაკვეთის განვითარება რესტორნის ფუნქციით და შესაბამისად, ტერიტორია განვითარდება გაპ-ით, ინდივიდუალურად, გრგ-ს გარეშე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

40. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის შესახვევის N17-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 მარტის N56 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 21000 კვ.მ., სადაც წარმოდგენილია ნაწილობრივი კორექტირება, კერძოდ, ცვლილება ეხება ორ სექტორს, რომლებიც გაერთიანდება და მოხდება არათვისებული 0.2 კ2 კოეფიციენტის ათვისება, რაც გულისხმობს ორსართულიანის ნაცვლად, სამსართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას და ამასთანავე, იცვლება ფუნქცია, კერძოდ, სპორტული კომპლექსის ნაცვლად, იქნება მრავალფუნქციური.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 37

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

41. „ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.13.001.117) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ივნისის N188 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია ტექნიკური ხასიათის ცვლილება, კერძოდ, დამტკიცებული გრგ-ს მიხედვით, საპროექტო ტერიტორია უნდა განვითარებულიყო ორ სექტორად, საიდანაც ერთზე გათვალისწინებული იყო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანება, ხოლო მეორეზე - ელექტრო ტრანსფორმატორის განთავსება. კორექტირებით წარმოდგენილია კომპლექსის შემადგენელ ერთ ბლოკში სართულიანობის შემცირება 21-დან 18 სართულამდე და მცირედი ცვლილებები საპროექტო შენობა-ნაგებობების ადგილმდებარეობასა და კონფიგურაციაში; საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის გამარტივებისთვის, ფართის შენარჩუნებით, იცვლება არსებული სერვიტუტის კონფიგურაცია და ასევე, სექტორ N1-ში

იზრდება კ3 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი და 7600 კვ.მ.-ს ნაცვლად, ხდება დაახლოებით 8580 კვ.მ.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 39

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

42. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, დავით სარაჯიშვილის ქუჩისთვის დავით სარაჯიშვილის გამზირის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლევან აბაშიძემ და განმარტა, რომ დავით სარაჯიშვილის ქუჩა ყველანაირად აკმაყოფილებს გამზირის მოთხოვნებს და შესაბამისად, მიზანშეწონილია მისთვის გამზირის სახელის მინიჭება.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 40

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

43. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ჰოსპიტლის შესახვევისთვის ჰოსპიტლის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლევან აბაშიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

44. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში, ქედის ქუჩის გავრცელების არეალის დაზუსტების და ქედის ქუჩის მონაკვეთისთვის ხანძთის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლევან აბაშიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 41

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

45. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში, საირმის II შესახვევის გავრცელების არეალის კორექტირების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლევან აბაშიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 39

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

46. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, გელა ოჩიაურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის, გურამ სოლოღაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლევან აბაშიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 39

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

47. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, აბუსერიძე ტბელის ქუჩისთვის და სახალხოს III ჩიხისთვის ტბელ აბუსერისძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლევან აბაშიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

48. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, სოფელ გლდანში, 26 მაისის ქუჩასთან, თბილისის შემოსავლელ გზატკეცილზე არსებული ხიდის ქვედა დონეზე მდებარე უსახელო გასასვლელისთვის 26 მაისის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლევან აბაშიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

49. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, რეზო გაბაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის რეზო გაბაშვილის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლევან აბაშიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 37

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

50. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2025 წლის 6 თვის (01.07.2025-31.12.2025) მუშაობის ანგარიში“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძემ (ანგარიში ოქმს თან ერთვის).

საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2025 წლის 6 თვის მუშაობის ანგარიში ცნობად იქნა მიღებული.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 4 დადგენილება და 45 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე		ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე		ბექა დავითულიანი